ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

„საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამები"

„ახალგაზრდა ადვოკატების" დასკვნა

2012, სექტემბერი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო პროგრამის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები აძლიერებს აღმასრულებელი ხელისუფლების – მთავრობის სტრუქტურას და მისაღებ ბალანსს ქმნისს ხელისუფლების სხვა შტოებს შორის. მმართველი პარტია საკონსტიტუციო ცვლილებებს ძალაუფლების გადანაწილების მნიშვნელობით ხსნის. „ნაციონალური მოძრაობის" ხედვით, კონსტიტუციური ცვლილებები აძლიერებს კერძო საკუთრების დაცვას, სასამართლოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობას და ზრდის პოლიტიკური პარტიების როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ემხროვა მმართველობის ე.წ. „შერეულ სისტემას," სადაც თანაარსებობენ ძლიერი პარლამენტი, მთავრობა, რომელიც ფორმირებული და პირდაპირ ანაგრიშვალდებულია პარლამენტის წინაშე და პრეზიდენტი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში და არის შეირაღებული ძალების მთავარსარდალი.

კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების" საარჩევნო პროგრამის თანახმად, გაერთიანებაში შემავალი სუბიექტების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს საპარლამენტო მმართველობას, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება კონსტიტუციური მოწყობის თაობაზე მიღებული იქნება ფართო სამოქალაქო შეთანხმების საფუძველზე. კოალიცია საზოგადოებას სთავაზობს ცვლილებათა პაკეტს, რომლის განხორციელებასაც საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შედეგად გეგმავს. კერძოდ, გაიზრდება საპარლამენტო ოპოზიციის უფლებამოსილება საპარლამენტო კომიტეტებში, შემოღებულ იქნება პარლამენტის არჩვნების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სისტემა, გაიზრდება მოსამართლეთა ასაკობრივი ცენზი, ახლებურად დაკომპლექტდება იუსტიციის უმაღლესი საბჭო, გაფართოვდება საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება და შემცირდება კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადები, გამარტივდება იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების პროცედურა. შეიქმნება დამოუკიდებელი პროკურატურა, გაიზრდება სახალხო დამცველის უფლებები, მყარი და დამოუკიდებელი გახდება ადგილობრივი თვითმმართველობები, გართულდება კონსტიტუციის გადასინჯვის წესი. კოალიცია ადამიანის ყველა უფლების განუხრელ დაცვას პრიორიტეტულ საკითხად აცხადებს.

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" საარჩევნო პროგრამის თანახმად, მათთვის მისაღები საკონსტიტუციო სისტემაა ძლიერი პარლამენტი, რომელიც ფორმირებას უწევს მთავრობას, ხოლო პრეზიდენტი სარგებლობს არბიტრის ფუნქციით. პარტიის შეხედულებით, უნდა გამარტივდეს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა. პრემიერი ვალდებული იქნება, მინისტრების 1/3-ის შეცვლის შემთხვევაში, მთავრობის ნდობის მისაღებად, მიმართოს პარლამენტს. პარტია მხარს უჭერს ისეთ საპარლამენტო მოდელს, სადაც პრეზიდენტს ირჩევს საკანონმდებლო ორგანო.

„თავისუფალი საქართველოს" საარჩევნო პროგრამის თანახმად, საქართველო არ არის დამოუკიდებელი ქვეყანა და ვაშინგტონიდან იმართება. პარტიის პოზიციით, ვიდრე ქვეყანა ამერიკული დიქტატისგან არ გათავისუფლდება, ვერც თავისუფალი არჩევნები ჩატარდება, ვერც რუსეთთან, აფხაზეთთა და ოსეთთან იქნება შესაძლებელი სამშვიდობო მოლაპარაკებები და ქვეყანა ვერც თვითმყოფადობას შეინარჩუნებს. პარტიის მიზანს წარმოადგენს ეროვნული და მართლმადიდებლური სახელმწიფოს მშენებლობა. მართალია, წინასაარჩევნო პროგრამაში სახელმწიფო მმართველობის საკითხს მსჯელობა არ ეთმობა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია საზოგადოების სოციალური საკითხების მოგვარებაზე, თუმცა პარტია ეროვნული და მართლმადიდებლური სახელმწიფოს შექმნას `მამული, ენა, სარწმუნოების" საფუძვლებზე აპირებს.

„ახალი მემარჯვენეების" საარჩევნო პროგრამის თანახმად, საქართველოსთვის სახელმწიფო მოწყობის საუკეთესო მოდელია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ეყრდნობოდეს ბალანსის პრინციპსს. „ახლები" ემხრობიან საპარლამენტო მონარქიის მოდელს, თუმცა პარტია განმარტავს, რომ საპარლამენტო მონარქია მოცემულ რეალობაში ძნელად მისაღწევი სისტემაა. ამიტომაც, პარტია მხარს უჭერს საპარლამენტო რესპუბლიკას, სადაც პირდაპირი წესით იქნება არჩეული ქვეყნის პრეზიდენტი. პარტია ემხრობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პარლამენტის მხრიდან გაძლიერებულ კონტროლს. „ახლების" აზრით, პარლამენტს უნდა შეეძლოს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადება სიითი უმრავლესობით.

„საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" საარჩევნო პროგრამის თანახმად, გაუქმდება ის ანტიეროვნული კანონმდებლობა, რომელიც დღეს მოქმედებაშია. გაძლიერდება არსებული საპრეზიდენტო ინსტიტუტი. ქვეყანაში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმა და ძირითადი კანონმდებლობა მიიღება პლებისცისტის ან რეფერენდუმის გზით. გამგებლები, მერები, მოსამართლეები, პოლიციის უფროსები აირჩევიან ხალხის მიერ პირდაპირი კენჭისყრით და იქნებიან მხოლოდ ხალხისა და კანონის მსახურნი. საქართველოს ექნება სამართლიანი სასამართლო. უფასო განათლება და ჯანდაცვა დაცული იქნება კონსტიტუციური დებულებებით.

„ქართული დასი" საარჩევნო პროგრამის თანახმად, პირველი საკითხი, რომელსაც პარტია პარლამენტში გაიტანს - საპენსიო რეფორმა იქნება. მეორე - პატიმრების მასშტაბური ამინისტია და მესამე - კომუნალური გადასახადების რეფორმა. საარჩევნო პროგრამაში ცაკლე მსჯელობა არ არის დათმობილი მმართველობის სფეროს საკითხებს.